



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center



სნობის ფურცელი

იანვარი, თებერვალი, მარტი

2022



მიმდინარე კონკურსები

1. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი;
2. პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი;
3. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი;

დასრულდა:

1. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის განვითარების კონკურსი;



„ბედი ჩაკრულოსი“



„ტერცო მონდო“

მოსამზადებელ პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ჭერი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი – გიორგი ქობალია);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აკვარიუმი“ (პროდიუსერი – შპს „ს.ს.ს.“, რეჟისორი – თორნიკე ბზიავა);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აფრიკა“ (პროდიუსერი – შპს „კინო არქიტექტურის ოფისი“, რეჟისორი – რატი ჯებაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“, (პროდიუსერი – შპს „კედარი“, რეჟისორი – ირინე ჟორდანიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქალაქის ხმაური“ (პროდიუსერი – შპს „თეიქს ფილმი“, რეჟისორი – პაპუნა მოსიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პანოპტიკონი“ (პროდიუსერი – შპს „20 სტეფს ფროდაქშენი (20 steps productions)“, რეჟისორი – ჯორჯ სიხარულიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცივი ღრუბლები“ (პროდიუსერი – შპს „20 სტეფს ფროდაქშენი (20 steps productions)“, რეჟისორი – კახა კიკაბიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფროდაქშენი“, რეჟისორი – გიორგი გოგიჩაიშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ოცნება კადილაკზე“ (შპს „პარაშუტი, რეჟისორი – ელენე მიქაბერიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მთვარე მამაა ჩემი“ (პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წყლების მაღაზია“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია – 99“, რეჟისორი – შტეფან ტოლცი);



„უხერხემლო“




„კვინეცია“

- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სავსე სიცარიელე“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია+1“, რეჟისორი – ირინე ჯავახიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კორიდა“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტა ფილმს“, რეჟისორი – გიორგი სამსიანი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვაკუუმი“ (პროდიუსერი – შპს „12“ თედო დოლიძე, რეჟისორი – თედო დოლიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძაფი“ (პროდიუსერი – შპს „ფილმ ასულუმი“, რეჟისორი – ლევან სიხარულიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მკვდარი“ (პროდიუსერი – შპს „ახალი ქართული ფილმი“ ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი – გიორგი ანთიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩვენი სიყვარულის მერე“ (პროდიუსერი – შპს „12“ თედო დოლიძე, რეჟისორი – ამირან დოლიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „რეკვიემი ზაფხულის სიციხიან დღეებს“ (პროდიუსერი – ააიპ „ათიკ პროდაქშენი“, რეჟისორი – გიორგი ფარქოსაძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლეში დაბრუნება“ (პროდიუსერი – შპს „3003 ფილმ ფროდაქშენი“, რეჟისორი – ლანა ლოლობერიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ვიდინოთ“ (პროდიუსერი – ააიპ „საქდოკ ფილმი, რეჟისორი სოფიო მედლიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „შოთას და დანარჩენ 99-ს მოსწონს ეს“ (პროდიუსერი – ააიპ საავტორო ფილმების სტუდია, რეჟისორი – ერეკლე ინაშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „თბილისის ომი“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ინდ/მენარმე იოსებ დუმბაძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „რაც თავი მახსოვს“ (პროდიუსერი – შპს „ფორმო“, რეჟისორი – მაკა გოგოლაძე);

- ▶ დოკუმენტური ფილმი „მჩხიბავი“ (პროდიუსერი – შპს „ბი აი თი სტუდია“, რეჟისორი – ანა კვიტიძე).
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მწარე შაქარი“ (პროდიუსერი – ააიპ „ბავშვთა და მოზარდთა ჰარმონიული განვითარების ცენტრი“, რეჟისორი – ანა ბარჭაძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „შაქრო-ცხენი, ზორო, ფანტომასა და ტაისონა“ (პროდიუსერი – შპს „პალესტრა“, რეჟისორი – თემურაზ ცავა);

გადაღების პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ლევანი და გივი“ (პროდიუსერი – შპს „ტემინი“, რეჟისორი – ბაკურ ბაკურაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა 17 წლის ხარ“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი მუხაძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „პატარა ხოჭო“ (პროდიუსერი – შპს „ელელენდი“, რეჟისორი – ელენე სებისკვერაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წმინდა ელექტროენერგია“ (პროდიუსერი – შპს „ზანგო სტუდია“, რეჟისორი – ვახტანგ კოტეტიშვილი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ქაღალდის თვითმფრინავი“ (პროდიუსერი – შპს „20 სთეფს ფროდაქშენი (20 steps productions), რეჟისორი – თამთა მანაგაძე);
- ▶ ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიტი“ (პროდიუსერი – შპს „სინეტექი“, რეჟისორი – რუსუდან გლურჯიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი ჩალაური);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გამთრისპირის სევდა“ (პროდიუსერი – შპს „ფილმ ასილუმ“ (Film Asylum), რეჟისორი – აკაკი შანშიაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – გიორგი ცქვიტინიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „კავკასიონის ხუთი ხედი“ (პროდიუსერი – შპს „ეკო ფილმს“ (EcoFilms), რეჟისორი – ნიკა წიკლაური);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ბოლო ზარი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი – ბესო (გივი) ოდიშარია);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი – ფ/პირი გელა კანდელაკი, რეჟისორი – გელა კანდელაკი);



„როცა 17 წლის ხარ„



„ჩატვირთვა„

- ▶ მოკლე მხატვრული ფილმი „ჩატვირთვა“ (პროდიუსერი – შპს „დიგიტალ ქითჩენ ფილმსი“, რეჟისორი – გიორგი წილოსანი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მუღამათი“ (პროდიუსერი – ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – თამთა გაბრიჩიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი – შპს „იბერიკა ფილმი“, რეჟისორი – ლევან კოლუაშვილი);
- ▶ მცირებუჯეტის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფილმსი“, რეჟისორი – დავით აბრამიშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი – შპს „თთფილმი“, რეჟისორი – თინათინ გურჩიანი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტერცო მონდო“ (პროდიუსერი – ს.ს „ქართული ფილმი“, რეჟისორი – მერაბ კოკოჩაშვილი);

პოსტ-პროდუქციის პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სად მიდის ლიზა“ (პროდიუსერი – შპს ნ&ნ (N&N), რეჟისორი – ნანა ჯანელიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წესების დაცვით“ (პროდიუსერი – შპს „მალპოლანდ ფილმი“, რეჟისორი – დოვერ ქოსაშვილი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმღერა სიცოცხლის საგალობელი“ (პროდიუსერი – შპს „ცისფერი მთები“, რეჟისორი – ელდარ შენგელაია);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი – შპს „ნიკე სტუდიო“, რეჟისორი – რუსუდან ჭყონია);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ამაღლება“ (პროდიუსერი – 20 სტეპს პროდაქშენი, რეჟისორი – გიორგი თავართქილაძე);

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი – შპს „არტიზმი“, რეჟისორი – თინათინ ყაჭრიშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ლიმილიანი საქართველო“ (პროდიუსერი – შპს „1991 ფროდაქშენს“, რეჟისორი და სცენარის ავტორი – ლუკა ბერაძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უხერხემლო“ (პროდიუსერი – შპს „ასილუმი“ (Film Asylum), რეჟისორი – გრიგოლ აბაშიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პეპლების იძულებითი მიგრაცია“ – (პროდიუსერი შპს „სტუდია-99“, რეჟისორი – ნანა (ნინო) ჭორჭაძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აუზი“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);
- ▶ ანიმაციური ფილმი „განდევილი“ (პროდიუსერი – შპს „შემოქმედებითი სანარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი – დათო კიკნაველიძე);
- ▶ ანიმაციური ფილმი „ჩაკრულოს მოძებნა“; (პროდიუსერი – შპს „ვოქსელ“ რეჟისორი – თეიმურაზ სიხარულიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიდი შესვენება“ (პროდიუსერი – შპს „მილიმეტრ ფილმი“, რეჟისორი – დათა ფირცხალავა);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მშვენიერი ელენე“ (პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ მცირებუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღარ შემიძლია“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ეკატერინე ჭელიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ფ/პ ლუკა მგელაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი – შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი – სალომე და თამთა ხალვაში);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – ირაკლი მეთრეველი);

დასრულდა

- „ქალაქის ევრანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „აქტმედია“, რეჟისორი – თამარ მშვენიერაძე, სცენარის ავტორი – თამარ მშვენიერაძე);
- „დუეტი ჩელისა და ვიოლინოსათვის“ – (პროდიუსერი – შპს „არტ სტუდია 24“, სცენარის ავტორი – თამარ ბართაია). (პროდიუსერი – შპს „ბი აი თი სტუდიო“ მარიამ ბინაძე, რეჟისორი – თორნიკე ტიკარაძე).



„პატარა ხოჭო“



„კავკასიონის ხუთი ხედი“

განვითარების პროცესშია:

- ▶ „დედობრივი ინსტიქტი“ – (პროდიუსერი – ი/მ გვანცა მეფარიშვილი, რეჟისორი – გრიგოლ ჯანაშია);
- ▶ „მეზობლებს სძინავთ“ – (პროდიუსერი – შპს „პარაშუტ ფილმი“ ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი – კოტე კალანდაძე);
- ▶ „კონტექსტიდან ამოჭრილი“ – (პროდიუსერი – შპს „შპს „ზუჩი ფილმსი“ მინდ. პირი ნატო გაბუნია, რეჟისორი – ნატო გაბუნია);
- ▶ „თამაშგარე“ – (პროდიუსერი – შპს „newdocfilm“ ნინუკი ქოიავა, რეჟისორი – სანდრო ნავერიანი);
- ▶ „მეათე მონღე“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „იტს სტუდიო“ (Its STUDIO), სცენარის ავტორი – გიგა ლიკლიკაძე);
- ▶ „მამა აბრამის ბატკანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ვაგონეტი“, სცენარის ავტორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ „კაი ბიჭები“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს – შპს „20 სთეფს ფროდაქშენი“ (20 steps productions), რეჟისორი – გიორგი თავართქილაძე, სცენარის ავტორი – გიორგი თავართქილაძე);
- ▶ „გაკოტრება“ – (საპროდიუსერო კომპანია – აიიპ „მიკროკოსმოსი“, რეჟისორი – სალომე ჯაში, სცენარის ავტორი – სალომე ჯაში);
- ▶ „უოლდენი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა პროდაქშენი“, რეჟისორი – გურამ მეგრელიშვილი, სცენარის ავტორი – გურამ მეგრელიშვილი);
- ▶ „ნინო და ილიკო“ – (პროდიუსერი – შპს „1991 ფროდაქშენი“, სცენარის ავტორი – მაკა კუკულავა-ფუასიე);

- ▶ „სიმონ ჯაშის ცხოვრება“ – (პროდიუსერი – შპს „კლოუნ კო“, სცენარის ავტორი – დიმიტრი მამულია);
- ▶ „დაბრუნება“ – (პროდიუსერი – შპს „პანიკა ფილმსი“, სცენარის ავტორი – გურამ ბაქრაძე);
- ▶ „კახაბერი“ – (პროდიუსერი – ინდ/მენარმე „გიორგი გეთიაშვილი“, სცენარის ავტორი – გიორგი გეთიაშვილი);
- ▶ „ვია იმედი“ – (პროდიუსერი – შპს „ნიუდოკფილმ“, სცენარის ავტორი – ლევან ცერცვაძე);
- ▶ „ლომის ახალი ფაფარი“ – (პროდიუსერი და რეჟისორი – ინდ/მენარმე „ანა ჩუბინიძე“);
- ▶ „ოჰ! დედა, დედა“ – (პროდიუსერი – შსგ „გლაბერ“, რეჟისორი – ხათუნა ტატუაშვილი);
- ▶ „იფიქრე ნაკლები“ (პროდიუსერი – ინდ/მენარმე „ქეთევან ჯანელიძე“, რეჟისორი – ლევან ყუფარაძე);
- ▶ „როცა გადამფრენი ჩიტები სახლს ტოვებენ“ – (პროდიუსერი – ააიპ „ლეველ2 ფილმს, რეჟისორი – ნათია არაბული-ვეგერი);
- ▶ „ცით დაკავებული კაცი“ (პროდიუსერი – შპს „ნიუდოკფილმ“, რეჟისორი – ალექსანდრე ნავერიანი);
- ▶ „ჩემი დაკარგული სხეული“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი – ალექსანდრე კვატაშიძე);

კინოფესტივალები და კინოდაჯილდოვებები

საქართველო ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე



The Resting Samurai


A film by Levan Tutberidze

Virtual Cinema 3 | 13.02 | 12:40h (CET)

Country: Georgia
Genre: Drama
Runtime: 104 min
Director: Levan Tutberidze
Producers: Nino Devdariani, Nostre Chikhalidze, Levan Tutberidze, Annemiek van der Heil
Scriptwriter: Aka Mochiladze, Levan Tutberidze
Cast: Nino Kasradze, Temiko Chichinadze, Davit Gotsiridze, Zuka Papuashvili, Natalia Kuloshvili, Zaza Magalashvili and Andro Chichinadze
Production company: Moira-Film, Alamdary Films

The story follows a family in socially tangled Tbilisi. City throughout 24 hours. A well-off family has everything perfectly tuned, even adultery. Tamuna, a busy woman about to leave for London and spend a few days with her lover tries to solve all the family issues before her departure. Her plans are disrupted by the unexpected return of Zaza, an old family friend and a thief. The urban tragic comedy depicts the collapse of stable but shallow relationships.

Moira-Film | +99557427382 | moirathefilm@gmail.com; tutbera@yahoo.com



Beautiful Helen

A film by George Ovashvili

Virtual Cinema 23 | 14.02 | 15:00h (CET)

Country: Georgia, France, Turkey
Genre: Drama
Runtime: 91 min
Director: George Ovashvili
Producer: George Ovashvili
Co-producers: Guillaume de Seille, Mesut Ullutas
Scriptwriter: George Ovashvili, Rolf Jan Minneboo
Cast: Nalia Chikoladze, Dimitri Khvitsashvili, Ana Makharadze, Salome Pagava, Darejan Kharshiladze
Production company: Wagonnet Films

When twenty-five-year old Helen returns home to Tbilisi after having studied abroad, she finds it hard to connect to the world she had left behind. She meets middle-aged film director Gabo - who is going through a crisis of his own - and the two lost souls set out on a trip in search of inspiration. As their journey progresses they find themselves exploring the meaning of life, love and storytelling.

George Ovashvili | +9959101911 | www.wagonnetfilms.com | thunder_finder@yahoo.com
Arizona Films | +33678190105 | guillaume@arizonafilms.net



Lotto - Tale of a town by the sea

A film by Zaza Khalvashi

Virtual Cinema 6 | 15.02 | 10:40h (CET)

Country: Georgia, Lithuania
Genre: Drama
Runtime: 83 min
Director: Zaza Khalvashi
Producers: Sukhan Furmanidze, Ieva Norvilienė, Tekla Machaviani
Scriptwriter: Zaza Khalvashi
Production company: Baths, Fremora

Everybody looks for love, but there is so little of it.

In one of the typical courtyards of a seaside town, neighbours live in adjacent apartments and their stories, feelings and dramas weave in and out from one another, as does the architecture where they live.

Batumi Art-house Film Independent Studio (BAFIS) | +995598177600 | tekla@nushifilm.com

ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ევროპული კინობაზრობის ფარგლებში, ეროვნულმა კინოცენტრმა წელს მეზვიდმეტედ წარადგინა საქართველოს პავილიონი, სადაც ინდუსტრიული კუთხით მუშაობდა ეროვნული კინოცენტრის გუნდი კინოცენტრის დირექტორის – გაგა ჩხეიძის ხელმძღვანელობით.

პანდემიის გამო, ბერლინის 72-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ჰიბრიდული ფორმატით გაიმართა. 10-17 თებერვალს მოეწყო ევროპული კინოს ვირტუალური ბაზრობა – European Film Market, ხოლო 10-20 თებერვალს ბერლინის კინოთეატრებში გაიმართა ფესტივალის ყველა ტრადიციული სეფციის, მათ შორის საერთაშორისო კონკურსის, პანორამის, ფორუმისა და რეტროსპექტივის ფილმების ჩვენება.

ევროპულ კინობაზარზე ეროვნულმა კინოცენტრმა წარადგინა ოთხი ქართული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი:

1. “სამურაი დასვენების ჟამს” – რეჟისორი ლევან თუთბერიძე (საქართველო);
2. “მშვენიერი ელენე” – რეჟისორი გიორგი ოვაშვილი (საქართველო, საფრანგეთი, თურქეთი);
3. “ლოტო – იგავი ზღვისპირა ქალაქზე” – რეჟისორი ზაზა ხალვაში (საქართველო, ლიეტუვა);
4. “ოთარის სიკვდილი” – რეჟისორი იოსებ (სოსო) ბლიაძე (საქართველო, გერმანია, ლიეტუვა);

ფილმების ჩვენებების გარდა, საქართველოს ვირტუალურ პავილიონში ონლაინ გაიმართა შეხვედრები გაყიდვების აგენტებთან, დისტრიბუტორებთან და წამყვანი საერთაშორისო კინო-ფესტივალების წარმომადგენლებთან:



- Marché du Film – Producers network / Aleksandra Zakharchenko & Yago Mateo
- Karlovi Vary IFF / Lenka Tyrpakova
- Montpellier IFF – CINEMED / Christophe Leparc
- Cottbus IFF / Joshua Jadi
- EastWest Filmdistribution / Sasha Wieser
- CAT& Docs / Aleksandra Derewienko
- Artinii / Betty Růžicková & Linda Pilková
- The Open Reel distribution / Cosimo Santoro
- Picture Tree International / Maximilian Sachsse
- Feel Sales / Pablo Briseño Galván
- Indie Sales / Adrien Dubreuil & Clement chautant
- Heretic Outreach / Sergina Stavroulaki
- Pluto Film / Daniela Cölle
- Film Republic / Xavier Henry-Rashid
- Film Seekers Sales / Caroline Couret-Delègue

აღნიშნულ ონლაინ შეხვედრებს კინოცენტრის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო 10 ქართველი პროდიუსერი, რომელიც ბერლინის კინოფესტივალზე მონაწილეობისთვის კონკურსის საფუძველზე შეირჩა: ქეთი კალანდარიშვილი, ქეთი დანელია, რატი ონელი, თიკო ნადირაშვილი, თეკლა მაჭავარიანი, ვლადიმერ კაჭარავა, ელია ფარსადანიშვილი, ელენე მარგველაშვილი, დათო ისაკაძე და გიორგი მუხაძე.

აღსანიშნავია ისიც, რომ წელს ბერლინის კინოფესტივალის ერთ-ერთ სექციაში სახელწოდებით „წიგნები ბერლინალეზე“, რომელიც სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოების სამომავლო ეკრანიზაციის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა, 10 წიგნს შორის წარმოდგენილი იყო ცნობილი ქართველი მწერლის, ნინო ხარატიშვილის ახალი რომანი „უკმარი სინათლე“.



ქართველი ქალი რეჟისორები ტრიესტეს კინოფესტივალის ფოკუსში

21-30 იანვარს იტალიაში 33-ედ ჩატარდა ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში წამყვანი იტალიური ფესტივალია.

ყოველწლიურად სექცია WILD ROSES ფესტივალის აუდიტორიას სთავაზობს გამორჩეული ევროპელი ქალი კინორეჟისორების ნამუშევრებს. წელს ფოკუსში ქართველი ქალი რეჟისორები მოექცნენ. ტრიესტეში მოეწყო რეტროსპექტივა შემდეგი პროგრამით:

- “ანას ცხოვრება” (რეჟისორი ნინო ბასილია)
- “დიდება დედოფალს” (რეჟისორი თათია სხირტლაძე)
- “გრძელი ნათელი დღეები” (რეჟისორები ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი)
- “კრედიტის ლიმიტი” (რეჟისორი სალომე ალექსი)
- “მილსადენის მეზობლები” (რეჟისორი ნინო კირთაძე)
- “როგორი იყო ოთახი” (რეჟისორი ქეთევან კაპანაძე)
- “სხვისი სახლი” (რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე)
- “მოთვინიერება” (რეჟისორი სალომე ჯაში)
- “სველი ქვიშა” (რეჟისორი ელენე ნავერიანი)





აღსანიშნავია, რომ ტრიესტეს კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობდა სანდრო სულადის ფილმი „გუშაგები“. იგი საქართველო-პოლონეთის კოპროდუქციაა და შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

ასევე, ქართული პროექტები წარმოდგენილი იყო ტრიესტეს კინოფესტივალის ინდუსტრიულ პლატფორმაზე WHEN EAST MEETS WEST:

- პროდიუსერი რუსუდან პირველი დაესწრო ანიმაციური პროექტის განვითარების ვორქშოპს The ANIMA SPIRIT /Animation Inspirational Lab პროექტით „14 კრისტალის თეორია“ (რეჟისორი გიორგი მასხარაშვილი);
- რეჟისორმა ალექსანდრე ქორიძემ წარადგინა თავისი დოკუმენტური ფილმის პროექტი „ატონალური გაბრწყინება“ პლატფორმაზე Last Stop Trieste, სადაც პროექტს გადაეცა First Hand Fund Award.
- პროდიუსერი ნინო ჩიჩუა მიწვეული იყო სატელევიზიო სერიალების განვითარების პროგრამაზე, რომელიც MIDPOINT Institute-სთან თანამშრომლობით ხორციელდება;

ალექსანდრე კობერიძის ფილმი „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?“

ალექსანდრე კობერიძის ფილმი „რას ვხედავთ როდესაც ცას ვუყურებთ?“ Premiers Plans – Angers Film Festival-ზე ჟიურის მთავარი ჭილდოს მფლობელი გახდა!

ფილმი საქართველო-გერმანიის კოპროდუქციაა. მასში მთავარ როლებს ასრულებენ გიორგი ბოჭორიშვილი, ანა ქარსელაძე, ოლიგო ბარბაქაძე, გიორგი ამბროლაძე და ვახტანგ ფანჩულიძე.

ალექსანდრე კობერიძის ფილმის მსოფლიო პრემიერა შედგა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარ კონკურსში, სადაც მას გადაეცა ფიპრესის ჭილდო. აღსანიშნავია, რომ ფილმის შესახებ შესანიშნავი რეცენზიები დაიწერა საერთაშორისო პრესაში.



ელენე ნავერიანის ფილმი „სველი ქვიშა“

ელენე ნავერიანის ფილმი "სველი ქვიშა" Solothurn Film Festival-ის გამარჯვებული გახდა.

ფილმს გადაეცა პრესტიჟული ჭილდო The Prix de Soleure.

"სველი ქვიშა" შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით და იგი შვეიცარია-საქართველოს კოპროდუქციაა.

ფილმის მსოფლიო პრემიერა 2021 წელს გაიმართა ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც მსახიობ გია აგუშავას გადაეცა ჭილდო მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

ქართული კინოს ფესტივალი იაპონიაში

იაპონიაში ქართული კინოს ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ქართული ფილმების რეტრო-სპექტივა. ღონისძიებას ტოკიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი კინოთეატრი – ივანამი ჰოლი მას-პინდლობდა.



პროგრამა შეადგინა ტაკეჰიდე ჰარადამ, იაპონიის საელჩოსთან და ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით.

ფესტივალის ფოკუსში მოექცა შენგელაიების ოჯახი, რომელსაც ძალიან წარმატებული და საიანტერესო შემოქმედებითი ისტორია აქვს. დამსწრე აუდიტორიამ იხილა ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო“, გიორგი შენგელაიას „ალავერდობა“, ელდარ შენგელაიასა და თამაზ მელიაშას „თეთრი ქარავანი“, ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთები, ანუ დაუჭერებელი ამბავი“, გიორგი შენგელაიას „ფიროსმანი“ და ელდარ შენგელაიას „ჭა“.

ასევე, ფესტივალის პროგრამაში შეირჩა როგორც თანამედროვე, ასევე წლების მანძილზე აღიარებული ქართული ფილმები: „არაბესკები ფიროსმანის თემაზე“, „ხაბარდა“, „დაკარგული სამოთხე“, „მაგდანას ლურჯა“, „ნეილონის ნაძვის ხე“, „ქორწილი“, „ქოლგა“, „მუსიკოსები“, „ვედრება“, „ნატვრის ხე“, „მონანიება“, „ჩემი ბებია“, „ჯიმ შვანთე“, „დიდი მწვანე ველი“, „დედუნა“, „გიორგობისთვე“, „იყო შაშვი მგალობელი“, „აპრილი“, „თუჯი“, „ძველი ქართული სიმღერა“, „ქეთო და კოტე“, „სახლი სიხარულისა“, „ქეთო და კოტეს“ ძიებაში“, „ბუბა“, „უჟმური“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ და ბედიერება“.

ლევან კოღუაშვილის ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“

ლევან კოღუაშვილის ფილმი "მეოთხე ბრაიტონი" დაჯილდოვდა შვეიცარიაში, ფრიბურგის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ფილმს გადაეცა ჟიურის სპეციალური პრიზი.

"მეოთხე ბრაიტონი" ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია. იგი საქართველოს, რუსეთის, ბულგარეთის, მონაკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების კოპროდუქციაა. „მეოთხე ბრაიტონის“ ერთ-ერთი თანაპროდიუსერია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხოლო თანადამფინანსებელი საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“.



BRIDGES. EAST OF WEST FILM DAYS



8-26 თებერვალს ბრიუსელის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი „ბოზარი“ მეხუთედ მასპინძლობდა ფესტივალს სახელწოდებით BRIDGES. EAST OF WEST FILM DAYS.

წელს ფესტივალის ფოკუსში საქართველო და უკრაინა იყო.

18 თებერვალს ღონისძიება გაიხსნა ალექსანდრე კობერიძის ფილმით "რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?", 19 თებერვალს კი აჩვენეს ლევან კოლუაშვილის "მეოთხე ბრაიტონი" და ელენე ნავერიანის "სველი ქვიშა".

სალონიკის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი

წელს სალონიკის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, პროგრამა Meet the Future-ს ფარგლებში საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით იყო წარმოდგენილი. ღონისძიება ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა.

კინოფესტივალზე თავიანთი ფილმების პროექტების წარსადგეად გაემგზავრა 5 ქართველი რეჟისორი:

- მარადია ცაავა პროექტით „წარმოდგენა“;
- თამთა გაბრიჩიძე პროექტით „მუღამათი“;
- ელენე მიქაბერიძე პროექტით „ლურჯი მოცვი“;
- შორენა თევზაძე პროექტით „ციხესიმაგრე“;
- ქეთევან კაპანაძე პროექტით „პერენ ბატოკი“;

პროექტების წარდგენამ წარმატებით ჩაიარა, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ქართველ რეჟისორებს მოიძიონ პარტნიორები.

ანა ჩუბინიძის ანიმაციური ფილმი „ფრენცის სასადილო“

ანა ჩუბინიძის ანიმაციურ ფილმს „ფრენცის სასადილო“ პირველი საერთაშორისო ჭილდო გადაეცა საბავშვო ფესტივალზე FIFEM, რომელიც მონრეალში 25-ედ გაიმართა. ქართული ანიმაცია დაჯილდოვდა ფესტივალის ჟიურის მიერ საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმის პრიზით.

„ფრენცის სასადილო“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია. იგი საქართველო-საფრანგეთის კოპროდუქციაა. საფრანგეთის მხრიდან პროდუქციის პროცესში ჩართულია ფრანგული სტუდია „ფოლიმაჟი“.

აღსანიშნავია, რომ ანიმაციის მუსიკალური გაფორმებაზე იმუშავეს ქართველმა კომპოზიტორებმა ერეკლე გენაძემ და ზვიად მღებრიშვილმა, გახმოვანება კი სტუდია „პოსტრედში“ გაკეთდა.

„ფრენცის სასადილო“ უკვე ათ ფესტივალზეა შერჩეული. ფილმის მსოფლიო პრემიერა ნიუ იორკის საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალზე გაიმართა.



ლანა ლოღობერიძის ფილმის წარმატება იაპონიაში



26 თებერვალს იაპონიის კინოთეატრებში ლანა ლოღობერიძის ფილმი „ოქროს ძაფი“ გამოვიდა, რომელმაც იაპონელი მაყურებლისა და კინოკრიტიკოსების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ტოკიოში, კინოთეატრი Iwanami Hall, 15 აპრილამდე დღეში ფილმის ოთხ სეანსს აჩვენებს. სულ „ოქროს ძაფი“ ნაჩვენები იქნება იაპონიის 30 კინოთეატრში.

იაპონიაში გამოსვლის პირველივე დღეს, „ოქროს ძაფი“ 300-მა მაყურებელმა ნახა, რაც პანდემიის პერიოდის გათვალისწინებით ძალიან კარგი მაჩვენებელია. ჩაიწერა ინტერვიუები ფილმის რეჟისორ ლანა ლოღობერიძესთან, რასაც დიდი ინტერესით ეცნობიან იაპონიაში.

„ოქროს ძაფი“ ამ ეტაპზე ლანა ლოღობერიძის ბოლო ნამუშევარია. იგი რეჟისორმა 2019 წელს გადაიღო. ფილმი საქართველო-საფრანგეთის კოპროდუქციაა და მისი პრემიერა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ: ნანა ჭორჭაძე, გურანდა გაბუნია, ზურა ყიფშიძე, დათო კვირცხალია. თემიკო ჭიჭინაძე. ნინო კირთაძე, მარიტა ბერიძე.

პრემიერები რეტროსპექტივები

- 6 იანვარს საქართველოს კინოთეატრებში გამოვიდა ალექსანდრე კობერიძის ფილმი „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?“. აღსანიშნავია, რომ მალევე, 23 თებერვლიდან ფილმის ხილვა უკვე შესაძლებელი გახდა საფრანგეთის კინოთეატრებშიც.
- 27 იანვარს, კინოთეატრ „ამირანში“ შედგა შემდეგი ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება: „პაპანაქება“ – რეჟისორი თორნიკე გოგრიჭიანი, „ფუტკრის დაცემა“ – რეჟისორი ვაჟიკო ჩაჩხიანი და „სასტუმრო მირაჟი“ – რეჟისორი გურამ ბაქრაძე.
- 28 იანვარს ლევან კოლუაშვილის ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ ამერიკის შეერთებული შტატების კინოთეატრებში გამოვიდა. ფილმის დისტრიბუტორია კინოკომპანია Kino Lorber.
- სალომე ჭაშის დოკუმენტური ფილმი „მოთვინიერება“ აჩვენეს გაერთიანებული სამეფოს კინოთეატრებში. ამასგარდა, ფილმის ჩვენება შედგა თანამედროვე ხელოვნების ცენტრში (ICA).
- თანამედროვე ქართული კინო ქუთაისში – 26 თებერვალს კინოთეატრ „საქართველოში“ გაიმართა იოსებ (სოსო) ბლიაძის ფილმის პრემიერა სახელწოდებით „ოთარის სიკვდილი“, ხოლო 26 მარტს აჩვენეს მარიამ ჭაჭიას დოკუმენტური ფილმი „მოუსმინე სიჩუმეს“.
- გიორგი ოვაშვილის ფილმის პროექტმა „მთვარე მამაა ჩემი“ ჩეხეთის კინოფონდის დაფინანსება მოიპოვა.
- აზიური კინობაზრობის მიერ შეირჩა მარიამ ხაჭვანის ფილმის პროექტი „ნენე“ (პროდიუსერი ვლადიმერ კაჭარავა).

ქართული კინოპროექტები საზღვარგარეთის ინდუსტრიულ პლატფორმებსა და კინობაზრობებზე

- ლევან კოლუაშვილის ფილმის პროექტი „გურია“ შერჩეულია კანის საერთაშორისო კინო-ფესტივალის პლატფორმაზე „ატელიე“. 2005 წლიდან მოყოლებული, „ატელიე“ ყოველ წელს იწვევს 16 რეჟისორს და ეხმარება მათ პროექტების რეალიზაციაში. წელს რჩეულ პროექტებს შორის ქართული პროექტიც მოხვდა.
- ვორქშოპზე MIDPOINT Series Launch შეირჩა ქართული სერიალის პროექტი „ნინო და ილიკო“. პროდიუსერები – ნინო ჩიჩუა და ანა ხაზარაძე, სცენარის ავტორები – უტა ბერია და მაკა კუკულავა.



ეროვნული კინოცენტრის ახალ დირექტორად კარლო სიხარულიძე დაინიშნა, რომელიც ამჟამად ასევე იკავებს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობას.

კარლო სიხარულიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. იგი წლების მანძილზე საქმიანობდა დიპლომატიურ სამსახურში: იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის, მალტისა და სან-მარინოს (2013-2018), ჩინეთისა (2009-2011) და ჩეხეთის (2006-2008) რესპუბლიკებში, საქართველოს საელჩოს პოლიტიკური მრჩეველი საბერძნეთში (1996-1999) და საქართველოს კონსული ანკარაში, თურქეთში (1994-1996).

კარლო სიხარულიძე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმატებით საქმიანობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში: სხვადასხვა წლებში სამჯერ დაიკავა მინისტრის მოადგილის თანამდებობა, იყო სამინისტროს ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი (2019), ევროპის დეპარტამენტის დირექტორი (2008-2009), ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი (2001-2002), კულტურის დეპარტამენტის დირექტორი (2000-2001), საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის "ეუთოს" სამმართველოს ხელმძღვანელი (1999-2000), "ნატოს" სამმართველოს ხელმძღვანელის მოადგილე და საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის პირველი მდივანი (1992-1994).

კარლო სიხარულიძის ბიორგრაფია ასევე მოიცავს ჟურნალისტურ საქმიანობასაც.



დასრულდა მუშაობა ყველასათვის საყვარელი მხატვრული ფილმის – „შერეკილების“ აღდგენის პროცესზე. საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით, ჩატარდა ფილმის სრული რესტავრაცია – ხმისა და ფერის კორექცია და მექანიკური დაზიანებების ციფრული აღდგენა.

„შერეკილები“ ერთ-ერთი გამორჩეული ნამუშევარია ელდარ შენგელაიას შემოქმედებაში, რომელიც რეჟისორმა 1973 წელს გადაიღო. ფილმის სცენარის ავტორია რეზო გაბრიაძე, ოპერატორი – გენო ჩირაძე, კომპოზიტორები – გია ყანჩელი და ჯანსუღ კახიძე. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ: ვასილ ჩხაიძე, დათო ჟღენტი, არიადნა შენგელაია, ბორის წიფურია, აბრეკ ფხალაძე, მერაბ ელიოზიშვილი, აკაკი (კაკო) ბაქრაძე, გრიგოლ ტყაბლაძე, იოსებ (სოსო) ხაინდრავა.

კინომემკვიდრეობაზე ზრუნვა ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ქართული ფილმების დაბრუნების პროცესი 2016 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.

ამ ეტაპზე რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდ“-იდან ჩამოტანილია 60-მდე ფილმი, აქედან აღდგენილია 34.

B2B Doc Story Development Workshop



დასრულდა B2B Doc Story Development Workshop-ი, რომელიც 29 იანვრიდან 1 თებერვლის ჩათვლით ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, „საქდოკ ფილმისა“ და B2B DOC-ის ორგანიზებით გოეთეს ინსტიტუტში იმართებოდა.

ვორქშოპს 25 მონაწილე ესწრებოდა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიდან, საქართველოდან, მოლდოვიდან და უკრაინიდან.

ღონისძიებას უძღვებოდა 4 საერთაშორისოდ აღიარებული ტუტორი, მათ შორის ერთ-ერთი იყო ქართველი კინოდოკუმენტალისტი სალომე ჯაში.

ვორქშოპის მონაწილეები მუშაობდნენ მათი დოკუმენტური პროექტების განვითარებაზე. სამუშაოები მიმდინარეობდა როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად. ღონისძიების დასასრულს გაიმართა ფილმების ჩვენება.

ეროვნული კინოცენტრის დირექტორის შეხვედრა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩის მრჩეველთან

ეროვნული კინოცენტრის დირექტორი გაგა ჩხეიძე შეხვდა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩის მრჩეველს კულტურის საკითხებში – ბატონ აჰმადალი მეჰრი არდესთან.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ორ ქვეყანას შორის მემორანდუმისა და ერთობლივ კინონარმოებაზე ბილატერალური შეთანხმების გაფორმების საკითხები. ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ირანული, ისე ქართული კინო უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი საქართველოს და ირანის ფესტივალებსა და კინოთეატრების ქსელში.



GEORGIAN FILMS

ქართული ფილმები GEORGIAN FILMS

ქართული ფილმები

2021-2022

2021-2022



ეროვნულმა კინოცენტრმა ტრადიციულად გამოსცა ქართული ფილმების ყოველწლიური კატალოგი, რომელიც აერთიანებს ინფორმაციას 2021-2022 წლებში წარმოების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი ქართული ფილმების, აღდგენილი კინომემკვიდრეობისა და სხვადასხვა კინორეგანიზაციის შესახებ.

პანდემიის გამო კატალოგის პრეზენტაცია ვერ შედგა, თუმცა იგი მსურველთათვის ხელმისაწვდომია ეროვნულ კინოცენტრში.



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center



საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge